CAUCASIAN MINING GROUP LLC
CMG
შპს კავკასიის სამთო ჯგუფი

№199. 17.12. 2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ გეგმავს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, იმედის ოქრო-მცირე სულფიდური საბადოს ფარგლებში - სოფ. აკაურთას და სოფ. გეტას მიმდებარედ არსებული ტერიტორიის გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებულია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ტანძია“ და ტერიტორიაზე დაგეგმილი სამუშაოების დაწყებამდე, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ზემოაღნიშნული ეგხ-ის გარკვეული მონაკვეთის, კერძოდ N69 ანძიდან N85 ანძამდე განთავსებული მონაკვეთის, სამთო სამუშაოების წარმოებისთვის განკუთვნილი ტერიტორიიდან უსაფრთხო მანძილზე გადატანა.

პროექტი ითვალისწინებს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. აკაურთას და სოფ. გეტას მიმდებარედ არსებული 110 კვ ეგხ „ტანძიას“ N69-N85 ანძებს შორის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობას.

“გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-5 მუხლის (ზოგადი დებულებანი) მოთხოვნების მიხედვით: გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 3.4. ქვეპუნქტის მიხედვით: „35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება“.

ამავე კოდექსის, მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ მიიჩნევს, რომ მის მიერ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისათვის (საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით) საჭიროა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა და შესაბამისად ვალდებულია დაგეგმილი

№ 23315
17 12 2021

ს/კ: 404908775. საფოსტო მისამართი: 0193, ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქუჩა 1, III შესახვევი, , ტელ: +995 595 90 81 47, ელ. ფოსტა: information@cmg.ge
ID Code: 404908775. Postal address: 0193, 1 M. Aleksidze street, III lane, Tbilisi, Georgia.
Phone: +995 595 90 81 47, E-mail: information@cmg.ge

საქმიანობის განხორციელებამდე გაიაროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სანებართვო პროცედურები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოგიდგენთ შპს "კავკასიის სამთო ჯგუფი"-ს 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი ,,ტანძიას"-N69 ანძიდან - N85 ანძამდე მონაკვეთში საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის სკოპინგის ანგარიშს.

დანართები:

1. 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი ,,ტანძიას"-N69 ანძიდან - N85 ანძამდე მონაკვეთში საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია;

2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ჯონდო შუბითიძე